მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(46) 2013 წ. 16-30 აპრილი ფასი 50 თეთრი

ჩვენ და გუნება

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარი მღვდელი ბიორგი (პავლოვი): — პაციბრიობის ზნედაცემულობის გამო გუნება აღფოთებულია

ბ აგვიშინაურდა ღმერთის ნებით და მისი კანონით დადგენილი ბუნების კანონზომიერების სახეცვლილებები. გასულ წელს ხელი არ დაგვაკლო თოვლმა, ყინვამ, სეტყვამ, წყალდიდობამ, ქარიშხალმა – ამიტომაც კახეთი სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადდა. მიმდინარე მოვლენებიდან ჩანს, არც ახლა დაგვადგება კარგი ...17 აპრილს მოსულმა თოვლმა პანიკაში ჩააგდო ყველა – ყვაოდა ნუში, ტყემალი, ალუჩა, ბალი, ალუბალი, ატამი, ვაშლი, მსხალი, მათგან ზოგიერთს ნაყოფი გამონასკვულიც ჰქონდა უკვე ... ბევრი ამ მოვლენებს ჩვენი უღმერთობის, ცხოვრების წესის უარესობისკენ წაყვანითა და განუკითხაობით ხსნის. წლებია გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოძღვარი მღვდელი ბიორგი (პავლოვი) მრევლს სწორედ ბუნების ამ მოვლენათა გაუარესების, საყოველთაო გაჭირვების მიზეზებს გვიხსნის და გვიქადაგებს ღმერთისკენ შემობრუნებისა და იმ მცნებების დაცვისაკენ, რომელიც ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესს უნდა ედოს საფუძვლად. ახლაც მახსენდება 2008 წლის 20 სექტემბერი, როცა აღელვებულები, იმ დღეს მოსული საშინელი, წითელ-ყვითელი ფერის წვიმითა და ჭექა-ქუხილით შეშინებულები ეკლესიაში მამა გიორგის გარს შემოვეხვიეთ. რატომ გიკვირთო? – აქეთ შეგვეკითხა, – ნახეთ, დღეს დილით როგორი მერეხი იყო? გუშინ ამერიკელი მომღერალი რიყეზე ათასობით ქართველს ართობდა. მილიონები იხარჯება მათ ჩამოსაყვანად, ახსოვს ვინმეს მშიერი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები ? სექტანტებისადმი შემრიგებლობა ჩვენი დიდი შეცდომაა და ღმერთი კატაკლიზმებით გვაფხიზლებსო. ასეთივე ახსნა-განმარტება მოგვცა იმავე წლის 12 ნოემბრის მიწისძვრაზეც. – უფალს და დედაღვთისმშობელს ისე ვუყვარვართ ქართველები, რომ მსხვერპლი არ არის, მადლობა ამისთვის მათო.

ახლაც იგივე პასუხები მოგვცა მამა გიორგიმ აპრილში თოვლის მოსვლის მიზეზის ასახსნელად:

– "წმინდანთა ცხოვრების" წიგნებიდან გვახსოვს, წმინდა მამების წინასწარმეტყველება – კაცობრიობა ისეთ ზნედაცემულობაში ჩავარდება, რომ თავად ბუნება აღშფოთდებაო და რა გგონიათ, მათ ამ წინასწარმეტყველებაში რა იგულისხმება? თქვენც კარგად უწყით, ხიდან ფოთოლი არ ვარდება უფლის ნების გარეშე. ე.ი. სტიქიური უბედურებანი ღმერთის განგებით მოიწევა ჩვენს თავზე. ადამიანები ცოდვაში იმყოფებიან. შურმა, გაუტანლობამ, მრუშობამ, შეუბრალებლობამ, ძალადობამ, სიძულვილმა მოიკიდა ფეხი საქართველოში. განა შეუმჩნეველი დარჩება ღმერთს რამე? სწორედ ამის გამო გვივლენს განსაცდელებს და სიდუხჭირეს. "თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით მეათედს პიტნისას, კამისას და კვლიავისას და დაგიტევებიათ ის, რაც უმთავრესია რჯულში: სამართალი, წყალობა და რწმენა. ეს უნდა გექნათ და არც ის დაგეტევებინათ". (მათე, თავი 23,23) წაიკითხეთ მათეს სახარება, თავი 23-ე და მიხვდებით დღესაც როგორ ფარისევლობენ ადამიანები – გარედან თვალისმომჭრელები ჩანან და შიგნით კი ათასგვარი სიბინძურით და ჭუჭყით აქვთ სული დაბინძურებული.

წმინდა მამათა წინასწარმეტყველებით ბუნება აირ-დაირევა კაცობრიობის დაცემის გამოო. რა იგულისხმება ამაში? " ხოლო იესომ მიუგო მათ: ხომ ხედავთ ყოველივე ამას? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა. (მათე, 24,2) გაიგებთ აგრეთვე ომებსა და ომების ამბებს. თქვენ იცით, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ყოველივე ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული, რადგან აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ; და იქნება შიმშილობა და ჟამიანობა, და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ. ხოლო ყოველივე ეს სალმობათა დასაწყისია" (მათე, თავი 24,6,7,8). მიაქციეთ ყურადღება მერვე მუხლს – "ხოლო ყოველივე ეს სალმობათა დასაბამია". ამაში იგულისხმება ის, რომ ბუნებრივი მოვლენების გაუარესება ქრონიკულ ხასიათს მიიღებს. ამას დაემატება ომი და ომის თანამდევი სისასტიკე – პურის დეფიციტი, შიმშილი.

უპირველესი მიზეზი კი ამისა არის ის, რომ "ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული" (მათე თავი 24, 12). განა ასე არ არის? ადამიანებს ერთმანეთის მიმართ სიყვარული აღარ აქვთ, რომელიც საფუძველია სიბრალულის, სიკეთის ქმნის სურვილის, გაჭირვებისას მოძმის გვერდში ყოფნისა და ყოველგვარი ადამიანური კეთილი თვისებებისა. მსოფლიოს წინაშე მოგვეჭრა თავი ქართველებს. ვერ დავივიწყებთ "ციხეების" ეპიზოდს – დაუნდობლობის, არაადამიანურობის, დაუსჯელობის საშინელებათა სერიალებს, რომლებიც "დემოკრატიულ საქართველოში" ხდებოდა თუნდაც ერთი წლის წინ ... გაიხსენეთ თბილისსა და ბათუმში ცისფერების ე.წ. გეების "პარადების" მოწყობის მცდელობები, სექტანტთა თავაშვებული, არნახული პროპაგანდა და ისიც სად? საქართველოში – ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში. ამიტომაც გვივლენს ღმერთი ქართველებს ამდენ განსაცდელებს, ჩვენი "ვაიპატრიოტიზმითა" და უმეცრებით დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, გვედავებიან დავით გარეჯს, სად არის ოშკი, იშხანი, ბანა?! განა ესენი დედა ღვთისამ ჩვენ, ქართველებს არ მოგვცა მოსავლელად და საპატრონებლად? როგორც მოვუარეთ, როგორც ვუპატრონეთ – მსოფლიომ იცის. გავიხსენოთ რა უთხრა გულნარა კუკულაძეს სიზმარში დედა ღვთისამ – რას დაემსგავსეთ ქართველებიო?! მართლაც, რომ, რას დავემსგავსეთ?! ზოგიერთები ცდილობენ ფეხი აუწყონ დასავლეთს – მსახიობების, მომღერლების, მოცეკვაველების, სპორტსმენების მოწვევით, მაგრამ ვისი?! "ვადაგასული", არაფრისმთქმელი პიროვნებებით. სამაგიეროდ, ხომ იხარჯება მილიონები?! ხომ ეწყობოდა ახალგაზრდების გახრწნისა და გათავხედების ღონისძიებები? გაიხსენეთ 2007 წლის 7 ნოემბერი, რომელზედაც მე ჯერ კიდევ 2007 წლის გაზაფხულიდან გეუბნებოდით ჩემი ხილვებიდან. გაიხსენეთ? "დემოკრატები" როგორ ურტყამდნენ და ასახიჩრებდნენ თანამოძმეთ, მტრებად , მოწინააღმდეგეებად მიჩნეულებს ?! იქნებ ყოველივე ამას ჩვენი გულგრილობაც მივუმატოთ სარწმუნოების მიმართ, გულგრილობა გაჭირვებულის მიმართ – თუნდაც ის, რომ აფხაზეთიდან დევნილებს ბევრს დღესაც არა აქვს "თავის მისადები" ადგილი.

დიახ, ბუნების კატაკლიზმები, რომლებიც კაცობრიობის არნახული ზნედაცემულობით, რომელშიც იგულისხმება მამათმავლობა, მეძავეობა და ჩვეულებრივი ათეიზმი, მიგვანიშნებენ ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვების გამოსყიდვისა და მონანიებისაკენ. შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთ დაცემულ კაცობრიობაზე იზრდება ღვთის სასჯელები.

– მამა გიორგი, თქვენ ომები და შიმშილობა ახსენეთ ...

– დიახ. მსოფლიოში ყველნაირად გამწვავდება მდგომარეობა. ყველა კუთხეში ომის დასაწყისის საფრთხე იქნება. ჩვენს რეგიონს – საქართველოს კი თურქეთის აგრესია ემუქრება, რადგან მეზობელი ქვეყნები სწორედ მასთან ჩაერთვებიან ომში და საქართველო კი მოგეხსენებათ სტრატეგიული თვალსაზრისით, აზიისა და ევროპის გზაგასაყარზეა, მაჰმადიანობასა და მართლმადიდებლობის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანა, თავისი სილამაზის წყალობით ბევრს ყელში ეჩხირება. მისი ფასი ქართველებმა ვერ გავიგეთ, თორემ ჰკითხეთ უცხოტომელებს, რამდენს უჭირავს თვალი ამ ჩვენს პატარა კი არა, კარგად დაპატარავებულ ქვეყანაზე?! მართალია, იქნება ომი, შიმშილი, გაჭირვება, მაგრამ საქართველო იქნება საქართველო, ბასტიონი მართლმადიდებლობისა და იმ ძველი ქართველობისა, რომელიც დედაღვთისამ ქართველებს ჩაგვაბარა. გფარავდეთ უფალი!

– ამინ!

ჩაიწერა თინა ილაურმა

სოფლის მეურნეობა

ახალი სამსახური – ფუნქცია, მიზნები
პროდუქტიულობის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დიდი ხანი არაა, რაც შეიქმნა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების, ამ დარგში დასაქმებულ მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერთა ხელშეწყობას ისახავს მიზნად. კერძოდ, თუ რა გზით განხორციელდება ეს და რა მიზნების წინაშე დგანან სამსახური და მისი თანამშრომლები, ამის შესახებ ***სამსახურის უფროსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აგროინჟინერიის მეცნიერებათა დოქტორი,*** **ნიკოლოზ ჯავახიშვილი გაგვაცნობს**.

– როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, დარგის ეფექტურობის ამაღლება და ამ საქმეში დასაქმებული ფერმერების ხელშეწყობაა, – აღნიშნა მან. – სწორედ ამ მიზნით, ისე როგორც ქვეყნის სხვა რეგიონებში, შეიქმნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, რომლის ძირითადი მიზანი და დანიშნულებაა ინფორმაციის მოძიება მუნიციპალიტეტში არსებული: ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ, სამეურნეო წლის განმავლობაში ნათესი და ნარგავი ფართობების სრული-განახლებადი ბაზის შექმნა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით სავარაუდო მოსავლის წინასწარი განსაზღვრა და ოპერატიული ინფორმაციის მიღება – გადამუშავება, მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობის მიღება, მოსახლეობაში კონსულტაციების გაწევა და მონიტორინგი, ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე წარმოების საშუალებებზე ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, სასაწყობე-გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა მემცენარეობის და მეცხოველეობის პირველადი წარმოების პროდუქციის მიხედვით; საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება; სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის დროული მიწოდება, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური შეფასება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანების, მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციის და დანერგვის ხელშეწყობა; ბაზარზე არსებული სათესლე და სარგავი მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება და მათი სპეციფიკის მიხედვით დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება;

სამსახური ასევე ვალდებულია, მუნიციპალიტეტში არსებული მექანიზაციის ხელშეწყობაზე, მათ გამოყენებაზე ინფორმაციის შეგროვება-გაცემაზე, ბაზარზე არსებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებზე ინფორმაციის შეგროვებასა და მათი მართებული გამოყენების მეთოდებზე მოსახლეობის გათვითცნობიერებაზე.

სამსახური, ასევე, კვალიფიციურ კონსულტაციას გაუწევს დაინტერესებულ პირებს მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ მოსამზადებელ ტექნოლოგიურ და სხვა ორგანიზაციული საკითხების შესახებ, გააცნობს ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

ჩაატარებს საუბრებსა და ტრეინინგებს საძოვრების რაციონალურად გამოყენების, ცხოველთა ვეტერინალური და ზოოსაინჟინრო ღონისძიებების შესახებ. ჩვენი თანამშრომლები, ასევე, მონაწილეობას მიიღებენ (კანონმდებლობით დადგენილი წესით) მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაო ჯგუფებში, ანალიზს გაუკეთებენ და შეაფასებენ სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში შექმნილ საგანგებო სიტუაციებს. მონაწილეობას მიიღებენ სტატისტიკის სფეროში მონაცემთა ბაზის შექმნაში.

– ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველა დაგვეთანხმება, რომ მართლაც დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე დგას თქვენი სამსახური და მისი თანამშრომლები. ეს კი, თავისთავად მათგან დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, რაც როგორც ჩანს, მათ არ აკლიათ, რადგან გავრცელებული ინფორმაციით მათ საკმაოდ რთული კონკურსის გაევლა მოუხდათ ამ სამსახურში თანამდებობების დასაკავებლად. თუ შეიძლება მკითხველს გავაცნოთ ისინი.

– სამსახურში სულ ხუთი თანამშრომელი ვართ. სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ჯავახიშვილი, მთავარი სპეციალისტები: აკაკი დეკანოზიშვილი, გივი მათიაშვილი, გივი ათაბეგაშვილი და უფროსი სპეციალისტი გიორგი დვალი. ამ თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან 400-მდე მსურველი, საიდანაც საატესტაციო გამოცდაზე დაიშვა 100 კაცი. ამ 100 კაციდან გამოცდა ჩააბარა მხოლოდ 15-მა, რომელთაგანაც გასაუბრების შემდეგ სამსახურში თანამდებობებზე დაინიშნენ ზემოჩამოთვლილი პირები, რომელთაც აქვთ აგროსფეროში მუშაობის საკმაო გამოცდილება, როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ საკითხებში.

– მართალია, სამსახურის შექმნიდან არც თუ ისე დიდი დროა გასული, მაგრამ ალბათ თანამშრომლებს შორის ფუნქციები უკვე გექნებათ განაწილებული.

– როგორ არა. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე , მისი ტერიტორია დაყოფილი გვაქვს საკურატორო ზონებად, ზონაში 8-9 სოფლის რაოდენობით. აქედან ზემო ზონის სოფლებში: გომბორში, კოჭბანში, უჯარმაში, ხაშმში, პატარძეულში, წყაროსთავში, ნინოწმინდაში, საგარეჯოში კურატორია მთავარი სპეციალისტი **აკაკი დეკანოზიშვილი**.

კაკაბეთში, ორივე ჩაილურში, მანავში, თოხლიაურში, გიორგიწმინდაში, სათაფლეში, უდაბნოში – ამ ზონაში კურატორია მთავარი სპეციალისტი **გივი მათიაშვილი**.

იორმურანლოს, თულარის, ლამბალოს, დუზაგრამის, კახლარის, შიბლიანის, ბადიაურის, ყანდაურის, ვერხვიანის, მზისგულის ზონას კურირებს ეკონომიკურ და სტატისტიკურ საკითხებში მთავარი სპეციალისტი **გივი ათაბეგაშვილი.**

სპეციალობების მიხედვით საინფორმაციო ბაზის შექმნისა და კომპიუტერული მომსახურების საკითხებში კურატორია უფროსი სპეციალისტი **გიორგი დვალი**.

სამსახურის აგრონომიულ და მეცხოველეობის საკითხებს ხელმძღვანელობს მთავარი სპეციალისტი გივი მათიაშვილი, ჰიდრომელიორაციულ და მექანიზაციის საკითხებს – მთავარი სპეციალისტი აკაკი დეკანოზიშვილი, თანამედროვე მეცნიერების მიღწევების, ტექნოლოგიების დანერგვის და პოპულარიზაციის საკითხებს – **ნიკოლოზ ჯავახიშვილი**.

– ბატონო ნიკოლოზ, მოსახლეობის დღევანდელი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის ჩნდება ხოლმე ეს კითხვა, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება თქვენი მომსახურება ამა თუ იმ ფერმერებისა და მოსახლეობისთვის, ანუ ფასიანია თქვენი მომსახურება თუ არა?

– აქ არავითარ ფასებზე ლაპარაკი არაა. მთავრობის გადაწყვეტილებით ჩვენი მოსახლეობის და ყველა დაინტერესებული პირისთვის ჩვენი მომსახურება უფასო იქნება.

– როგორც ცნობილია ჩვენი ქვეყნის მთავრობამ შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით დაუშვა დაბალპროცენტიანი სესხები სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის. თქვენი სამსახური თუ მონაწილეობს ამ პროცესში და უნდა ჰქონდეთ თუ არა ამ საქმეში თქვენი დახმარების იმედი ჩვენს ფერმერებს?

- ამ საქმეში ჩვენი სამსახური თავიდანვე აქტიურად არის ჩართული და შეგვიძლია კვალიფიციური კონსულტაცია გავუწიოთ დაინტერესებულ პირებს სესხების აღებასთან დაკავშირებით. ძირითადში, ამ სფეროში არის სამკომპონენტიანი სესხები, რომელთა არსის გარკვევაში ჩვენ მუდამ მზად ვართ დავეხმაროთ ნებისმიერ მსურველს. ამ საკითხთან დაკავშირებით სამსახურს უკვე მოაკითხა რამდენიმე კაცმა. ხოლო მათ, ვისაც უნდა ამ სესხების აღება და ბოლომდე ვერ გარკვეულან ამ პროცესებში, ვურჩევთ მოგვაკითხონ ჩვენს სამსახურში დავით აღმაშენებლის ქ. №15-ში, სადაც ჩვენი სპეციალისტები ძირფესვიანად აუხსნიან და გაარკვევენ მათთვის საინტერესო ყველა დეტალში.

– ბატონო ნიკო, თქვენი სამსახური ჩართული თუ არის საქართველოს მთავრობის მიერ მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების საქმეში და ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ მოსახლეობის ნაწილი ჩივის ნომინალური ბარათებით საქონლის შეძენისას მომწოდებელ ობიექტებში მომატებული ფასების გამო?

– ჩვენი სამსახურის როლი და ფუნქცია ამ საქმეში არის კონსულტაციების გაწევა ბარათების მიღებასა და გამოყენების საქმეში. რაც შეეხება აღნიშნულ დარღვევებს, ამის შესახებ უკვე აქვთ სათანადო ინფორმაცია სამინისტროში და ალბათ გატარდება სათანადო, შესაბამისი ზომები.

– რას გვეტყვით სამსახურის სადღეისო და მომავლის ამოცანების შესახებ?

– მიუხედავად ჩვენი სამსახურის ხანმოკლე არსებობისა, ჩვენმა თანამშრომლებმა უკვე მივიღეთ მონაწილეობა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში სიღნაღში, საგარეჯოში, ტიბაანში, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს ეძღვნებოდა. 18 აპრილს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში ჩატარდა სემინარი აგრომეტეო სადგურების და სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების შესახებ. აქ მიღებულ ინფორმაციას და გამოცდილებას ვაცნობთ მოსახლეობას. უახლოეს დღეებში ვაპირებთ მუნიციპალიტეტის მთელი სავარგულების შესწავლას და სათანადო ინფორმაციის დადებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მოვაწყეთ შეხვედრები რამდენიმე სოფლის რწმუნებულთან, გვინდა მოვაწყოთ მუნიციპალიტეტის მოწინავე ფერმერთა გამოცდილების გაცნობა- პოპულარიზაცია და ა. შ. ამ საქმეში ალბათ დიდად დაგვეხმარება და ხელს შეგვიწყობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეპირებული საოფისე ავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის შემოტანა, რომელსაც უახლოეს ხანებში ველოდებით. გვაქვს სხვა გეგმებიც, რომლებსაც მომავალში აუცილებლად გაცნობებთ. ერთი სიტყვით, ვეცდებით, რომ გავამართლოთ სამსახურზე დაკისრებული ფუნქციები და ჩვენი მიზანმიმართული მუშაობით ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

ესაუბრა
გივი დაბახიშვილი

სასოფლო-სამეურნეო ბარათი

ვენახი თავის სახეს დაიბრუნებს

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართველმა გლეხმა და მითუმეტეს, კახელმა გლეხმა ხელი ჩაიქნია – ქართულ მთავრობას არ აინტერესებს გლეხისა და ქართული მიწის ბედიო და ვენახის გაკაფვა დაიწყო. სამაგიეროდ საზამთრო დათესა – შემოსავალ-გასავლიანი. რა ექნა? სიმწრით მოყვანილი ყურძენის დალპობა – აშმორებას ვეღარ უყურებდა, ვერც ღვინის ქარხნებთან გაჭიმულ დიდ რიგში ჩადგებოდა და გამოსავალი თავადვე მონახა. ბოლო ოცწლეულში კი მეზობლის გაუთავებელმა ლანძღვამ, წყლის ამღვრევამ ხომ დაუკარგა ყურძნისა და ღვინის რეალიზების იმედი... დარჩა კახელი გლეხი თავისი ქვევრ-მარნის სინაბარას. გასული წლის ზაფხულში მოსულმა სეტყვამ ხომ საერთოდ ყველაფრის იმედი გადაუწურა, მაგრამ სტიქიით დაზარალებულთა სასოწარკვეთილება ისეთმა მოულოდნელმა სიხარულმა შეცვალა, კახელი გლეხი კარგა ხანს არც იჯერებდა – ახალი მთავრობის მიერ დაზარალებულთათვის ზარალის კომპენსაციის გამოყოფა-გაცემა, რომელმაც წელში გამართვის გარდა, გლეხი კაცი სამომავლოდ ისეთი საქმიანობისთვის დარაზმა, თუნდაც ორიოდე წლის წინათ რომ ვერ იოცნებებდა. დიახ, სწორედ ფონდ "ქართუს" მიერ გაცემული თანხებით ბევრი მაშინვე შეუდგა ახლიდან ვენახის გამართვის სამუშაოებს, ახალი მთავრობის მიერ მეზობელი რუსეთისკენ გადადგმულმა კეთილგანწყობილმა პირველმა ნაბიჯებმა შემორიგების მიზნით კი გლეხს რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის, ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის იმედი მისცა. ყინული დაიძრა ... გლეხი მიხვდა, მარტო არ არის სტიქიასთან საბრძოლველად ... ბოლო დროს გლეხს იმედი მისცა მთავრობამ - მალე სეტყვისაწინააღმდეგო პუნქტებს აამოქმედებენ და მაშინ ხომ აღარაფრის უნდა ეშინოდეს მშრომელ ადამიანს.

ამ რწმენის და მომავლის იმედის თვალით ცქერას მარტიდან იმ სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების დიდი კამპანიაც მოჰყვა, რომელმაც გამაოგნებელ სიხარულად იმოქმედა ადამიანებზე. "მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტმა" ხომ მიწის დამუშავების, მიწის პატრონობის დიდი იმედი და ხელშეწყობა მისცა გლეხ-კაცს. სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებამ გლეხს მისცა შანსი – დაამუშაოს თავის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი – მოხნას, დადისკოს. ამ ბარათების საშუალებით შეიძინოს სასუქები, შესაწამლი პრეპარატები, ან შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა იარაღები: ბარი, ნიჩაბი, თოხი, ცელი, ხელის ურიკა, ბალახის საკრეჭი აპარატი, მექანიკური ხერხი, ხელის ხერხი, კიბე, შესაწამლი აპარატი და ა. შ.

ქალაქის მერიაში ხალხმრავლობაა 13 აპრილიდან. წესრიგის, რიგის დაცვაც კი სჭირდებათ აქაურ თანამშრომლებს. მოდიან ადამიანები და სასოფლო-სამეურნეო ბარათებით ხელდამშვენებულები მიდიან. ისე კი საინტერესოა, რაში, როგორ გამოიყ-

დასასრული მე-3 გვერდზე

სასოფლო-სამეურნეო ბარათი

ვენახი თავის სახეს დაიბრუნებს

სასოფლო-სამეურნეო ბარათით მაღაზიაში

დასასრული

ენებს ამ ბარათს მისი მფლობელი?

სოსო ბრატიაშვილი – *ეკონომისტი: – ვენახი 1 ჰექტარი მაქვს, ზაფხულის სეტყვამ ისე დაგვიანა, რომ თითქოს შუაზე გაყო – ნახევარი ჰექტარი100 პროცენტით, მეორე ნახევარი 60-70 პროცენტით. ვაზს ბავშვობიდანვე ვუვლი. მისი ყველა თვისება ვიცი. მოვლის წესებს ვერავინ მასწავლის, მაგრამ ეს რაც მოხდა, ეს ენითაუწერელი განადგურება იყო მართლაც "შვილივით ნაზარდი" ვაზისა. ამ ფართობზე 10 ტონა ყურძენს ვიღებდი. ყველა დამეთანხმება, რომ ადამიანი ასეთ დროს სასოწარკვეთილებაში ვარდება , მაგრამ ჩვენმა მთავრობამ გლეხი-კაცი არ გაწირა. მე დახმარების სახით 4700 ლარი მივიღე. ეს ის თანხა იყო, რომლითაც ისევ ვაზისთვის უნდა მიმეხედა და კიდეც მივხედე. ადვილი არ არის 100 პროცენტით განადგურებული ვენახის ფეხზე დაყენება. აქ ახლით, ახალი ნერგით უნდა შეივსოს საერთოდ ასეთი ადგილები. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის 60-70 პროცენტით დაზიანებული ვაზი. მისთვის ისეთი ოპერაციის ჩატარება იყო საჭირო, რომელსაც კახელები "განეკვას" ვეძახით – ვაზი ძალიან მოკლედ ისხლება, მას სამი კვირტი აღარ ეძლევა. ვენახში უკვე ორგანული სასუქი შევიტანე. აი, დღეს – 19 აპრილს, სასოფლო-სამეურნეო ბარათი მივიღე - 640 ლარით დაფინანსებული. ეს მართლაც დიდი საჩუქარია ჩემთვის და ჩემისთანა მევენახისთვის. ახლა ვაზს შხამქიმიკატებით შეწამვლა სჭირდება და ისეთი მზრუნველობა, რომელიც არასდროს ჰქონია. ზარალი ერთია, მაგრამ როცა ხედავ მთავრობა შენს ზარალს ითავისებს და ხელს გიწყობს ყველანაირად, ეს უკვე სხვა რამეა. ენთუზიაზმი გემატება, შრომის სურვილი გიათმაგდება და მადლიერების დიდი გრძნობა ყოველი დღის მოსვლას გილამაზებს.*

მაია ბაბუნიძე – *ეკონომისტი: – დახმარებები, რომელიც მთავრობამ თავისი საქმიანობის პირველივე თვეებში დაიწყო, რომ იტყვიან, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ჯერ იყო და სტიქიისგან დაზარალებულ ადამიანებს გვერდით დაუდგა – ასეთი რამ ხომ არ ყოფილა თუნდაც კომუნისტური წყობის დროს. შემდეგ კიდევ მცირემიწიან ფერმერთა დასახმარებლად სასოფლო-სამეურნეო ბარათი. ეს ღვთის დიდი წყალობაა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, რომლებსაც ისე შემოაცვდათ თუნდაც სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომ წარმოიდგინეთ, დღეს სასოფლო-სამეურნეო ბარათს არავინ ჰყიდის. დიახ, ხალხს სჭირდება ყველა ის სასოფლო-სამეურნეო იარაღი თუ შესაწამლი და სასუქად შესატანი მასალა, რომ იტყვიან დანატრულდა ხალხი თავისი ხელმოკლეობით. მე 640 ლარით დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი ავიღე. ვენახის გაშენება მინდა, ისე კი გვაქვს, მაგრამ არც ახალი ვენახია ცუდი. მჭირდება შხამ-ქიმიკატები, ამ ფულით თესლს ვიყიდი. ჩვენს ოჯახს 5 ჰა-მდე მიწა გვაქვს. მას, მოგეხსენებათ, განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, მთავრობა ხელს მიწყობს, უბრალოდ, გარჯა, შრომა მჭირდება. ეზოში, სახლის წინ ხუთი წლის ალუჩები, ხეხილი გვაქვს, მათაც შეწამვლა, სასუქის შეტანა სჭირდება. მიწაზე დამოკიდებული ადამიანისთვის ცოტა როდია 640 ლარიანი სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომლითაც იმ ტექნიკის ყიდვა შეუძლია სამუშაოს შესამსუბუქებლად, მხოლოდ ოცნებით თუ წარმოიდგენდა. და ეს შეღავათი, ნატვრის, ოცნების ასრულება ყველა ოჯახში შევიდა, ვისაც მიწა მარჩენლად აქვს და მოსავლელად. მადლობის მეტი ჩვენ რა გვეთქმის ?! სულ ახლახანს კი ითქვა, რომ სეტყვის საწინააღმდეგო პუნქტებს ფუნქციონირებას დაუბრუნებენ. ასე, რომ გლეხი კაცი შიშით აღარ შეაცქერდება ცას – სეტყვის ღრუბელი ზიანს აღარ მიაყენებს კახეთს.*

სასოფლო-სამეურნეო ბარათის მფლობელი პირდაპირ მაღაზიას აკითხავს. იქ ფართო არჩევანია.

შპს "აგროლიდერის" მაღაზია (წარმომადგენელი ალექსი თედიაშვილი) ყოველდღიურად 10-15 ბარათის მფლობელს ემსახურება. აქ ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი ის შხამ-ქიმიკატები, რომლებიც ვაზის პირველი წამლობისთვისაა საჭირო (ჯერ-ჯერობით ამ ეტაპზე), ასევე, არის შესატანი სასუქები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები. გიორგიწმინდელები შემოვიდნენ და პირდაპირ ვენახის შესაწამლი აპარატი მოიკითხეს, ალბათ მათთვის ეს იყო საჭირო და აუცილებელი.

– ბარათის მფლობელთა მოთხოვნები სხვადასხვაგვარია, – მეუბნება მაღაზიის თანამშრომელი ხატია მთიულიშვილი, – ბარათის მფლობელთა 100 პროცენტიდან 40 პროცენტი ვენახის შესაწამლ აპარატს ითხოვს. ჩვენგან ყველაზე მეტად "ბი-58" და "ფასდაკი" მიაქვთ. საერთოდ შესაწამლი ნივთიერებები გერმანული წარმოებისაა და დიდი მოწონებით სარგებლობს მევენახეებში. ფასებს რაც შეეხება, ჩვენთან ფასები დარეგულირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ჩვენ შეგვიძლია მათგან დადებული ფასები 1-2 ლარით შევამციროთ, მაგრამ მათ მიერ დადგენილ ფასებს არ უნდა ავცდეთ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ვაზის ჭრაქის საწინააღმდეგო "აკრობატი-მც"-ეს ფასი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 45 ლარია, ჩვენთან კი 42 ლარი ღირს. დიდი მოთხოვნაა ასევე შესაწამლ აპარატებზე, თოხზე, ბარზე, რკინის სათლებზე, სამყნობ მაკრატლებზე, თოკებზე, ხელით შესასხურებელ მასტერებზე (1.5 ლიტრიანი). ბარათების მფლობელები ითხოვენ ე.წ. "პომპებს" – წყლის საქაჩ აპარატებს, მაგრამ ჩამონათვალთა სიაში ჯერ-ჯერობით ეს საგანი არ არის მითითებული...

საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამა მოქმედებაშია

სასოფლო-სამეურნეო ბარათების გამოყენებით

ისე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მასშტაბურად მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის საგაზაფხულო პროგრამის განხორციელება. მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებით, ჩვენს მცირემიწიან ფერმერებს საშუალება მიეცათ აწარმოონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, რისი გაკეთებაც, უსახსრობის გამო მათ წინა წლებში არ შეეძლოთ. ამინდებსა და აგროვადებს ეშურებიან გარეჯელი მიწათმოქმედები. ამავდროულად ისინი დიდ მადლიერებას გამოთქვამენ ქვეყნის პრემიერის ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობის მისამართით, რომელთაც მართლაც რომ ღირსეულად შეუწყეს ხელი მათ საგაზაფხულო სამუშაოების გატარებაში. ფაქტიურად, მათ, თუ არ ჩავთვლით სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებაში მცირეოდენ შეფერხებას, ყველა პირობა აქვთ ამ სამუშაოების შესასრულებლად, არც სახსრების ძიება უწევთ, არც საწვავის და არც ტექნიკის, რადგან ეს ყველაფერი უკვე წინასწარ არის გათვალისწინებული.

ამ გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 21 აპრილისათვის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე მოხნული იყო 1207 ჰა-ზე მეტი ფართობი, რაზედაც შ.პ.ს "მექანიზატორის", სამი – ბადიაურის, კაკაბეთისა და საგარეჯოს გაერთიანებების ტრაქტორები მუშაობდნენ.

ამავე პერიოდისათვის მუნიციპალიტეტის ქვემო ზონაში: ყანდაურაში მოხნული იყო 131, ბადიაურში – 3, მზისგულში – 69, შიბლიანში – 4, დუზაგრამაში – 50, იორმუღანლოში – 35, ლამბალოში – 6, თულარში – 33 ჰექტარი. იმავე რიცხვისათვის მუნიციპალიტეტის ზემო ზონის დასახლებულ პუნქტებში ეს მონაცემები ასე გამოიყურებოდა : ნინოწმინდასა და წყაროსთავში მოხნული იყო 220, პატარძეულში – 200, ხაშმში – 13, უჯარმაში – 15, კოჭბაანში – 30, გომბორში -8, საგარეჯოში – 21 ჰექტარი მიწა. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის შუა ზონის სოფლებს – უდაბნოს, სათაფლეს, თოხლიაურს, მანავს, გიორგიწმინდას, კაკაბეთს, დიდ და პატარა ჩაილურს, ვერხვიანს, აქ საერთო ჯამში მოხნული იყო 370 ჰექტარი მიწა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ფერმერი არ სარგებლობს და სასოფლო-სამეურნეო ბარათებს უკან აბრუნებს, ნაწილი კი მათ ივნისისათვის, - საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანიისთვის ინახავს. მაგალითად, მარტო გომბორსა და კოჭბაანში ეს ბარათები უკან დააბრუნა 380-ზე მეტმა ფერმერმა.

ნიადაგის საგაზაფხულო სამუშაოები გარკვეულწილად შეაფერხა აპრილის უამინდობამაც, რის შემდეგაც ეს სამუშაოები ჩვეული ტემპით უკვე განახლდა.

გივი დაგახიშვილი

ზოგი რამ ჩვენი სოფლების ისტორიიდან

მიწისათვის თავდადებულნი

წინა ხელისუფლებამ ქართული სოფელი გაპარტახებამდე მიიყვანა, ხოლო ქართული მიწა გადამთიელთა ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცია, სოფელი დაიცალა და ქართველი გლეხობა ლუკმა-პურის საძიებლად მთელ მსოფლიოს მოედო.

ზედმეტი არ იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავახსენოთ, როგორ იბრძოდნენ ქართული მიწისათვის წინა საუკუნეებში ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

საქართველოს და მათ შორის გარე-კახეთის მოსახლეობის ძირითად მასას გლეხობა წარმოადგენდა. გლეხობა იყო ქვეყნის მკვებავი და მისი დამცველი, ამიტომ იყო, რომ ჩვენი სახელოვანი ქართველი მეფეები თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ და აფასებდნენ მიწისათვის თავდადებულ მებრძოლ გლეხობას, ესიყვარულებოდნენ მას.

XVII საუკუნის კახეთის პოეტი და კალმოსანი მეფე არჩილ II ამბობდა და აფრთხილებდა მაშინდელ ქართველ საზოგადოებრიობას – "თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს! "-ო.

მართლაც, რომ გამართლდა არჩილ მეფის წინასწარმეტყველება, XX და XXI საუკუნეთა გზაგასაყარზე, მართლაც დაიცალა ქართული სოფელი და ჩვენი სოფლების გლეხობაც დაძაბუნდა, სოფლის მეურნეობაც ნულს გაუტოლდა. ახლანდელ, ახლადარჩეულ საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს დიდი ძალისხმევა მართებს კვლავ ააღორძინოს საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე სტანდარტების დონეზე, რათა ქართველ გლეხს კვლავ დაუბრუნოს მიწა.

ჩვენი გაზეთის "გარეჯის მაცნეს" დღევანდელი სიუჟეტიც ისტორიის გამოძახილია და თვალნათლივ გადმოგვცემს გიორგიწმინდელ და ანთოკ-მარიამჯვრელი გლეხობის თავგანწირულ ბრძოლას ქართული მიწისთვის წინა საუკუნეების შავბნელ წარსულში. სიუჟეტი ხელს შეუწყობს თანამედროვე სოფლის მშრომელებს, თუ როგორ უნდა შეიყვარონ და გაუფრთხილდნენ ქართულ მიწას, გაჟღენთილს ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით.

ამჟამად საუბარი გვექნება ქართული მიწის იმ მონაკვეთებზე, რომელიც გიორგიწმინდასა და ანთოკ-მარიამჯვარში ეკუთვნოდათ გასულ საუკუნეებში თავადებს ჩერქეზიშვილებს და მაყაშვილებს, რომელთა ხალხის საკუთრებაში გადაცემისთვის იბრძოდნენ გიორგიწმინდელი და ანთოკ-მარიამჯვრელი უმიწო გლეხები.

აგარაკ "ნასადგომარსა" და "კულნიანში" (გიორგიწმინდაში) ეკუთვნოდათ თავად მაყაშვილებს და ჩერქეზიშვილებს ათას დესეტინამდე ტყის და სახნავ-სათესი მიწის ფართობები, ასევე თავად ტიტიკო მაყაშვილს ანთოკ-მარიამჯვრის ტყეებში მდებარე "შავსერის" და "შუასერის" 200 დესეტინამდე ტყის მასივები, რომლებიც იჯარით ჰქონდა გადაცემული თავად ტიტიკო (დიმიტრი) მაყაშვილს თბილისელი საქმოსნებისა და ვაჭრებისათვის – ქრისტეფორე პანიევისათვის, თბილისის პრისტავის თანაშემწე საზონა გულისაშვილისათვის და თავის მოურავისათვის ანთოკში ვასილ გოცირიძისათვის, მაგრამ თავადი უკეთეს მუშტარს ელოდა უფრო მეტი მოგებისათვის.

ანთოკ-მარიამჯვრელები და გიორგიწმინდელები თავდადებით იბრძოდნენ თავადების ამ მიწების ხელში ჩაგდებისთვის – ბრძოლის, როგორც რევოლუციური გზით, ისე მშვიდობიანი საშუალებებითაც, მაშინდელი მასმედიის ფურცლებიდან.

გულშიჩამწვდომი იყო ილია ჭავჭავაძის გაზეთ "ივერიაში" 1892 წლის №247-ში გამოქვეყნებული თხოვნა-გოდება: "... ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა ტომის ხალხი ეტანება, თითქოს ბევრია თავისუფალი მამული აქ და მოსულები საფუძვლიანად მკვიდრდებიან. დუხაბორებს და გერმანელებს აუარებელი მამულები დაუთმო მთავრობამ

დასასრული მე-6 გვერდზე

№8(46) 2013 წელი, 16-30 აპრილი

განათლება

უფასო სახელმძღვანელოები — მძლავრი იარაღი სწავლის განვითარებისთვის

ინფორმაციამ – ახალი სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სახელმწიფოს მიერ უფასო სახელმძღვანელოებით მომარაგების შესახებ, მართლაც დიდი სიხარული და ვნებათაღელვა გამოიწვია. ქვეყნის ახალმა მთავრობამ გაითვალისწინა რა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ამ ეტაპზე მართლაც დიდ დათმობაზე და შეიძლება ითქვას, საშვილიშვილო საქმის წამოწყებაზე დაიწყო ზრუნვა.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით და ზემოთაღნიშნული ღონისძიების გატარების შემდეგ მიღებულ მოსალოდნელ შედეგებზე გვესაუბრებიან დღეს საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი **ნელი ბალახაშვილი,** ამავე სკოლის IV და II კლასების პედაგოგები **თამარ მედულაშვილი** და **მარიანა შიოშვილი**.

თამარ მედულაშვილი

ნელი ბალახაშვილი: – ჩვენს სკოლაში 513 მოსწავლიდან 250 მოსწავლე სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ჩართული ოჯახებიდანაა. მათზე გასული წლის სექტემბერში 15375 ლარის ღირებულების სახელმძღვანელოები მოვიდა ჩვენს სკოლაში. როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნულ პროგრამაში ჩართული ოჯახების მოსწავლე – შვილები სახელმწიფო პროგრამით უფასოდ იღებენ სახელმძღვანელოებს. მინდა გითხრათ, რომ ამ 250 მოსწავლიდან უმეტესობა კარგად სწავლობს. თუ მოსწავლეს სახელმძღვანელო აქვს, იცით, რომ ეს მისთვის პირველი ხელშეწყობაა აკადემიური მაჩვენებლებისათვის. პირველი კლასის მოსწავლის მშობელს ექვსი დასახელების სახელმძღვანელოს შეძენა სჭირდება, რისი ღირებულებაც საბოლოო ჯამში 64 ლარს და 11 თეთრს შეადგენს. მეცხრეკლასელთათვის 12 საგნის სახელმძღვანელოების ღირებულება – 116 ლარს და 25 თეთრს შეადგენს, მეთერთმეტე კლასში მოსწავლეები სწავლობენ ცხრა ძირითად საგანს და მეათე არჩევითია, ამიტომ მშობელს მთლიანი კომპლექტის ყიდვა 103 ლარი და 35 თეთრი უჯდება. რაც შეეხება მეთორმეტე კლასს, აქ საქმე სხვაგვარადაა. აქ სწავლობენ 6 საგანს და ემატება აბიტურები (რაც გულისხმობს გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სწავლებას) და ემატება კიდევ ერთი არჩევითი საგანი. საბოლოო ჯამში ისინი 11 საგანს სწავლობენ და ძირითადი საგნების სახელმძღვანელოებში 62 ლარი და 50 თეთრის გადახდა უწევს მშობელს. აქ ახლა აღარ ვსაუბრობთ სხვა კლასების საგნებსა და სახელმძღვანელოებზე. სათქმელია ისიც, რომ VII – IX კლასებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოები 6 წლით შეირჩა, I – VI კლასებისთვის კი შარშანწინ. ამასთან, შერჩეულ ამ სახელმძღვანელოებთან ერთად არის თავისი სამუშაო რვეულები. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეთა 97-98 პროცენტს აქვს სახელმძღვანელოები. ყველა მშობელი ცდილობს შეუძინოს შვილს სახელმძღვანელო, როგორც არ უნდა უჭირდეს მას. დღეს კი კარგად მოგეხსენებათ, როგორ უჭირს ოჯახებს. შეიძლება ერთ ოჯახში სამი მოსწავლე იყოს, შემომტანი კი – მხოლოდ ერთი და ისიც, ხშირ შემთხვევაში – ქალი. მოსწავლეს კი მხოლოდ სახელმძღვანელო არ სჭირდება, მას დამატებითი აქტივობებიც სჭირდება და სწორედ ამ უსახსრობის გამო, შეიძლება შვილს უხარისხო კალამი, რვეული და სხვა ნივთები შეუძინოს მშობელმა, რომელიც შემდეგ უარეს პრობლემებს უქმნის მოსწავლეს. არც ის არის დასამალი, რომ მშობელი თავისი შვილის ნახმარ სახელმძღვანელოს ყიდის, რათა მომავალი სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელო როგორმე შეუძინოს, მაგრამ აღარ ვფიქრობთ იმაზე, რომ შეიძლება მოსწავლეს სწორედ წინა წლის განვლილი მასალის გადახედვა მოუწიოს, ამიტომ იძულებული ხდება, სახელმძღვანელო მიჰყიდოს მეზობელს, ნათესავს და ა. შ. ის, რომ სახელმძღვანელო უფასო იქნება მოსწავლისათვის, ეს მთავრობის დიდი და კეთილი ნებაა, რომელიც სიკეთედ წაადგება ისევ განათლების სისტემას. ეს მძლავრი იარაღია სწავლის განვითარებისთვის. ხელმისაწვდომობა სახელმძღვანელოზე ეს დიდი მონაპოვარია დღევანდელი მთავრობიდან: თქვენ წარმოიდგინეთ, თითოეული კლასის ხელმძღვანელს ცალკე აქვს შექმნილი სპეციალური ჟურნალი, –ყოველ თვეს, ყოველი მოსწავლის (სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ჩართული ოჯახების შვილებს) ის უფასოდ გადაცემული სახელმძღვანელო მოწმდება და არსებული შენიშვნები ტარდება აღნიშნულ ჟურნალში, რათა მოსწავლე გაუფრთხილდეს სახელმძღვანელოს. მას მომდევნო კლასის მოსწავლე ელოდება მომავალ სასწავლო წელს.

მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, შინაარსობლივად აუცილებლად უნდა გადაიხედოს სახელმძღვანელოები.

მართალია, განათლების რეფორმა კარგად წარიმართა და იმედია ასევე წარმატებით გაგრძელდება, მაგრამ რახან სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, მისი შინაარსობრივი დახვეწაც დღეს მთელი სიმწვავით უნდა დადგეს. მართალია, აღნიშნული რეფორმა გვავალებს, რომ მასწავლებელმა თავისი შემოქმედებითი პოტენციალი უნდა გამოიყენოს, მან გეგმიური, მიზანდასახული საქმიანობით უნდა მისცეს მოსწავლეს ის, რასაც განათლების რეფორმა მოითხოვს, მაგრამ როცა მასწავლებელი შემოქმედებითად უდგება თითოეული მასალის გადმოცემას, მოსწავლეს მშობელი სახლში როგორ დაეხმაროს, როგორ მოამზადებინოს შვილს გაკვეთილი? მინდა გითხრათ, რომ საგნის თავისუფალმა არჩევანმა დააბნია ყველა, უპირველესად მშობელი. როცა ერთი საჯარო სკოლიდან მეორე საჯარო სკოლაში უხდება მოსწავლეს (გარემოებათა გამო) გადასვლა, იქ სხვა სახელმძღვანელო ხვდება კონკრეტულ საგანში. როგორია, 10-12 სახელმძღვანელოდან სკოლამ შეარჩიოს მისთვის სასურველი ერთი სახელმძღვანელო. როგორ, რა კრიტერიუმებით? უცბათ, ნაუცბათევად რთულია. ამიტომ პედაგოგს უწევს დიდხანს სიარული, განსჯა, ფიქრი, რომელზე შეაჩეროს ყურადღება, რომელი აირჩიოს. დამეთანხმებით, რომ აპრობაციას ათივე საგნისას ერთბაშად ვერ მოახერხებ. ეს ადვილია გააკეთო სამი და ოთხი სახელმძღვანელოდან. ახალი სასწავლო წლიდან კი ჩვენ ორი ან სამი სახელმძღვანელოდან გვექნება არჩევანი გასაკეთებელი – ავირჩევთ ერთს.

ამიტომაც დიდი სიხარულით მივიღე ეს ინფორმაცია – სახელმძღვანელოს ხელმისაწვდომობა, რომელიც დვრიტად დაედება საქართველოს განათლების სისტემას სრულფასოვანი მუშაობისთვის.

მარიანა შიოშვილი

თამარ მედულაშვილი – მეოთხე კლასის მასწავლებელი: - სახელმძღვანელოებისთვის ფასის დადებამ გამოიწვია უარყოფითი წინაპირობა იმისა, რომ მშობელი ზოგჯერ ერთი თვის დაგვიანებითაც აწესრიგებს სახელმძღვანელოების ყიდვის საკითხს. მიზეზად ბევრი რამ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ხომ ვიცით, რომ პირველი უსახსრობაა. თანაც, ცდილობს ნახმარი, მეორადი სახელმძღვანელოები და სახელმძღვანელოს დამხმარე რვეული იაფად შეიძინოს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორად დამხმარე რვეულში მოსწავლეს უკვე ნამუშევარი აქვს, შეიძლება მან ვერ მოზომოს და ფანქარი ისე დააჭიროს, რომ დღის ბოლოს ვეღარც მასწავლებელმა წაშალოს და ის სამუდამო "შპარგალკად" დარჩეს შემდგომში მომდევნო კლასის მოსწავლისათვის. ჩემს კლასში 22 მოსწავლეა. ყველას აქვს სახელმძღვანელო, სახელმძღვანელოს დამხმარე რვეული, მაგრამ ახალი ყველას არა. რაც პრობლემებს ჩვენ, მასწავლებლებს გვიქმნის. მოსწავლეს აქვს მზამზარეული – წინა მფლობელის მიერ "ნამუშევარი" და თვითონ აღარ აქვს სურვილი იმუშაოს საკუთარ თავზე.

რაც შეეხება სახემძღვანელოების ხელმისაწვდომობას, თქვენ უნდა განახათ როგორ სიხარულს გამოხატავენ ამაზე მშობლები.

მარიანა შიოშვილი – მეორე კლასის მასწავლებელი: კლასში 24 მოსწავლე მყავს. ყველას აქვს სახელმძღვანელო და დამხმარე რვეული, მაგრამ კარგად წარმოიდგინეთ, რა უჯდება ოჯახს სახელმძღვანელოების დაკომპლექტება. მხოლოდ სახელმძღვანელო, დამხმარე რვეული ხომ არ სჭირდება მოსწავლეს?! მოგეხსენებათ რა ფასები აქვს დამხმარე აქტივობებსაც. დღეს პედაგოგი გაკვეთილზე ისე იხარჯება, ძნელია მოსწავლემ თავი აარიდოს ახალი მასალის მოსმენას, გაანალიზებას. ის მთელი თავისი არსებით ჩართულია სასწავლო პროცესში. მას ხელის შეწყობა სჭირდება საამისოდ. მაგრამ, რამდენი ოჯახია, ვერ ახერხებს შვილებისათვის ტანსაცმელ-ფეხსაცმელთან ერთად ახალი სახელმძღვანელოების ყიდვას. სახელმძღვანელოების უფასოდ მოსწავლეებზე გაცემა კი ვფიქრობ, სწავლის ხარისხს ერთიორად აამაღლებს.

სწავლებაში სიახლეებია

აქ მოსვლა ყველას უხარია

საგარეჯოს პირველი ბაგა-ბაღი 1976 წელს შევიდა ექსპლოატაციაში. იმ პერიოდში საქართველოში და შესაბამისად, საგარეჯოშიც დემოგრაფიული მდგომარეობა მართლაც რომ შესაშური იყო. ბაგისა და ბაღის ასაკის ჯგუფებში თვალმახარა გოგო-ბიჭების სიმრავლე იყო ... თუმცა, ბოლო წლებია, რაც დემოგრაფიული მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, შესაბამისად იმატა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა რიცხვმაც. ასეა აქაც, საგარეჯოს პირველ საბავშვო ბაგა-ბაღში (მენეჯერი მაია კოხტაშვილი), სადაც 55 აღსაზრდელი მიიღეს გასული წლის სექტემბერში.

ბაგა-ბაღის შენობის გარე ხედი, თქვენც ხედავთ, არასახარბიელოდ გამოიყურება. შიდა სამუშაოებიც მოძალებულა, აქ 1985 წელს ჩატარდა ბოლოს მართლაც კაპიტალური რემონტი – საბავშვო ბაგა-ბაღების საკავშირო ღონისძიების მოსაწყობად. მას შემდეგ კი, რომ იტყვიან, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან აქ ყველაფერს. თებერვალ-მარტში კი ბაგა-ბაღის შენობას მეტალოპლასმასის მასალით გამოეცვალა კარ-ფანჯარა, გაკეთდა გათბობის სისტემა, რაშიც დიდი წვლილი ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს, პარლამენტის წევრს თინათინ

ხიდაშელს მიუძღვის.

– ქალბატონი თინათინი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად სტუმრობდა ჩვენს ბაგა-ბაღს, დაათვალიერა, კმაყოფილი დარჩა აქ არსებული ფართით, მაგრამ შეგვპირდა, რომ კვლავაც დაგვეხმარება სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარის შესაძენად საჭირო თანხების მოზიდვაში,- გვითხრა საბავშვო ბაღის მენეჯერმა მაია კოხტაშვილმა, – თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა კმაყოფილები, გახარებულები არიან მშობლები – მათ შვილებს, ჩვენს აღსაზრდელებს სითბოში რომ მოუწიათ ყოფნა, ფანჯრებს შიშით ვერ ხსნიდნენ, უკვე ისე იყო მოძველებული. რომ გითხრათ, იქნებ არც დაიჯეროთ, სასმელი წყალი ჩვენ თვითონ მოგვაქვს ბაგა-ბაღის თანამშრომლებს. თუმცა სასმელი წყლის მილები კარგა ხანია შემოყვანილია, მაგრამ მასში წყალი არ მოდის. ამასთან, გვაქვს ჭაბურღილი, რომლის ძრავი წლებია დაზიანებულია და შესაკეთებელი. საქმის კურსშია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და დახმარებაც აღგვითქვეს.

მართალია, ჩვენი საუბარი პრობლემებით დავიწყეთ, მაგრამ ამ პრობლემების ფონზე მართლაც რომ მზრუნველობას არ აკლებენ თავიანთ აღსაზრდელებს აქაური პედაგოგ-აღმზრდელები და პერსონალი.

საბავშვო ბაგა-ბაღში სამი ჯგუფი ფუნქციონირებს : ბაგის ასაკის ორი ჯგუფი

დასასრული მე-5 გვერდზე

სწავლებაში სიახლეებია

აქ მოსვლა ყველას უხარია

მენეჯერი მაია კოხტაშვილი

დასასრული

და სასკოლო ასაკის ერთი ჯგუფი. ბაგის ჯგუფში გამოცდილი პედაგოგ-აღმზრდელები ზინა ხიბლაშვილი და მარინა ქარსაულიძე. მეორე, უფროსი ბაგის ჯგუფში კი აღმზრდელ-პედაგოგი ლალი ილაური წლების განმავლობაში არაერთი თაობის აღმზრდელი და დამფრთიანებელია. სასკოლო ასაკის ჯგუფის პედაგოგი კი მერი გზირიშვილი, რომელიც არაერთხელ ყოფილა ჩვენი ბაგა-ბაღის პედაგოგებთან ერთად ერთ-ერთი მოწინავე, საუკეთესო პედაგოგი, -მეუბნება ბაგა-ბაღის მენეჯერი რომელიც ერთი წელიც არ არის რაც ამავე ბაღის ლოგოპედობიდან მენეჯერადაა. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე თავადაც, ამ სტრიქონების ავტორი, კარგად ვიცნობ ამ საბავშვო ბაგა-ბაღის პედკოლექტივს – აქ ათეული წლების წინ ჩემი შვილიც მათი აღსაზრდელი იყო. მეც კარგად მახსოვს თითოეული პედაგოგი, მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებები, ის სტუმრიანობა, რასაც ისინი ღირსეულად მასპინძლობდნენ საკავშირო, რესპუბლიკურ, სარაიონო თუ საქალაქო ღონისძიებებში. სხვანაირად, ლამაზად გამოიყურებოდა ეზოც – ატრაქციონებით სავსე, ერთ ადგილზე პატარა ვენახიც იყო აქ გაშენებული – თვალსაჩინოებისთვის.

მზარეული მარინა გზირიშვილი

დღე აქ აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად მოზარდის აღზრდას ემსახურებიან ასევე, გამოცდილი ლოგოპედი ნანა კუჭუაშვილი, რომელიც 46 წელიწადი ედგა სათავეში ბაგა-ბაღის შემოქმედ აღმზრდელ პედაგოგებს, ფსიქოლოგი – ციცო დათუნაშვილი, მეტყველების კულტურის სპეციალისტი ლია ფეიქრიშვილი, აღმზრდელის თანაშემწეები: ლია კევლიშვილი, დარეჯან ხებრელაშვილი, თინიკო რევაზიშვილი, ექთანი ლალი როსტომაშვილი, მზარეული მარინა გზირიშვილი, დამლაგებელი ნაირა შაქარაშვილი. აი, სწორედ მათი მზრუნველობით, მათ მიერ შექმნილი მყუდრო გარემოს გავლენით სძინავს ყველაზე პატარა – 1,5 წლის ნიაკოს ასე მშვიდად, მის ჯგუფელებს – ივიკოს, ნინის...

უფროსი ბაგის ასაკის ჯგუფში კი გოგას და მშვენიერ ელენეს არ სძინავთ – მიმჯდარან მაგიდასთან და აწყობენ კონსტრუქციებს, სამაგიეროდ მათ ჯგუფელებს უშფოთველი ძილით სძინავთ.

მედდა ლალი ჩოკოშვილი

სასკოლო ასაკის ჯგუფებში მერი მასწავლებელთან ერთად ორბგერიანი და სამბგერიანი სიტყვების მოძებნაზე ვარჯიშობენ: ანა, თაკო, ქეთი, ციცი, ხვიჩა, დავითი, გურამი, მარიამი, მზიკო. ამ ჯგუფიდან 12 ბავშვი სექტემბერში პირველად შეაღებს სკოლის კარებს, ამიტომაც მეტი პასუხისმგებლობით მეცადინეობენ.

საბავშვო ბაგა-ბაღში ზეიმებიც ჰქონდათ და ახალი, საგაზაფხულო ზეიმისთვისაც ემზადებიან.

ახალი სასწავლო წლიდან კი აქაც, ამ საბავშვო ბაგა-ბაღშიც იმავე სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით დაიწყებენ მუშაობას, რომლითაც თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღები მუშაობენ. როგორც ბაგა-ბაღის მენეჯერმა მაია კოხტაშვილმა მითხრა: - აღნიშნული პროგრამა თბილისის მერიის შეკვეთით და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მომზადდა და ეფუძნება განათლების და მეცნიერების

გოგა და ელენე

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებულ 0-6 წლამდე ბავშვის განვითარების სტანდარტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2011-2012 წლებში სახელმძღვანელომ პილოტირება გაიარა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში. პროგრამის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მოდელი დღევანდელ სწავლებაში. ამ სახელმძღვანელოთი ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარება, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობაც. როცა ეცნობი ამ პროგრამას ძალიან საინტერესოა და მასში აქტიურად, დიდი ინტერესით ჩაერთვება თითოეული ჩვენი აღსაზრდელი. ამ პროგრამის შესახებ ინფორმაცია მშობლებსაც მივაწოდეთ, რა თქმა უნდა ინფორმაციის დონეზე, მათაც ძალიან მოეწონათ და მეტი ინტერესი გაუჩნდათ. ასევე, დიდი სიხარულით მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა , პარლამენტარმა თინათინ ხიდაშელმა საბავშვო ბაგა-ბაღებში მშობელთა გადასახადის გაუქმების შესახებ წინადადება დააყენა. ასე, რომ ჩვენს საბავშვო ბაგა-ბაღში ბევრი სიახლეა ახლახანს გათბობის და კარ-ფანჯრის შეცვლით და სამომავლოდაც ბევრ სასიკეთო სიახლეს ველოდებით. გვინდა, რომ ჩვენთან ჩვენს აღსაზრდელებს ყოველ დილას მოსვლა მოუხაროდეთ.

უფროსი ასაკის ჯგუფის აღსაზრდელები პედაგოგ მერი გზირიშვილთან ერთად

ესაუბრა თინა ილაური

რაც ქართულ სულს აძლიერებს

მენეჯერი ირმა ჩალათაშვილი

ბადიაურის საბავშვო ბაგა-ბაღს (მენეჯერი ირმა ჩალათაშვილი) მიმდინარე სასწავლო წელს 40 აღსაზრდელი ჰყავს. მათ აღზრდას აღმზრდელ-პედაგოგები ნინო აფციაური, ინეზა იმნაძე, ლია ბაცანაძე, ლოგოპედი დალი ზავრაშვილი, ფსიქოლოგი მაია ზურაშვილი, მუსიკის მასწავლებელი სოფო ტაველიშვილი ემსახურებიან. ბაგა-ბაღში სამი სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფია, ბაგის ასაკის – 12 აღსაზრდელით, საშუალო ჯგუფი და უფროსი ჯგუფის. 23 აღსაზრდელი, ბაგა-ბაღის შენობის კედლებში სექტემბრიდან პირველკლასელობისთვის ემზადება.

აქ აღსაზრდელთა აღზრდა-განვითარებისათვის ნორმალური პირობებია შექმნილი. ბაგა-ბაღის შენობა ორსართულიანია, შემოდგომაზე მოხერხდა და გადაიხურა შენობის სახურავი, პირველ სართულზე დაიგო იატაკი, მაგრამ მეორე სართული გამოუყენებელი და გასარემონტებელია, რადგან საბავშვო ბაგა-ბაღი 100 ბავშვზეა გათვლილი, ჯერ-ჯერობით მისი სრული დატვირთვა ვერ ხერხდება. მაგრამ, სამაგიეროდ, აქ პედაგოგები ისეთი შემართებით არიან, ყოველდღიურად ისეთი საინტერესო მეცადინეობები იმართება, ყველა აღსაზრდელი ინტერესით, სიხარულით მოდის. მართლაც დიდი ინტერესით დაიწყეს ფოლკლორული საღამოს ჩატარებისათვის მზადება უფროსი ასაკის ბავშვებმა პედაგოგ ნინო აფციაურთან ერთად. სულ რამდენიმე თვეში მათ შეძლეს ლექსების, სიმღერების, ცეკვების შესწავლა და მაყურებელთა წინაშე გამოტანა. მათ მიერ მომზადებული ფოლკლორული საღამო გაამრავალფეროვნა ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა სოფო ობოლაშვილის, ბაია ნაცვლიშვილის და სხვათა მონაწილეობამ. ღონისძიების მომზადებაში ბადიაურის თემიც იყო ჩართული: სკოლის პედაგოგები ლელა გიგილოშვილი, გულიკო ლუცუბიძე, მშობელი მზია ხორბალაძე. მაგრამ, საღამოს სული და გული საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან ერთად იყო ბაგა-ბაღის ჯგუფის აღსაზრდელი, ორი წლის ქეთი ჯავახიშვილი და მისი უფროსი ძმა, 5 წლის ლაშა. ქეთიმ იმღერა, იცეკვა, ლექსები თქვა და მაყურებელთა განსაკუთრებული აღფრთოვანება და ტაში "ვეფხისტყაოსნიდან " პატარა მონაკვეთის წარმოთქმის შემდეგ დაიმსახურა. ასევე, დიდი მოწონება დაიმსახურა სალომე ათაბეგაშვილის და ვაკო ცანკაშვილის, ანუკი ჩალათაშვილის და ნიტა ჯავახიშვილის გამოსვლებმა.

ქეთი და ლაშა ჯავახიშვილები

აღსაზრდელებმა ამ საღამოზე მაყურებელს, მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინეს ქართული ცეკვები, სიმღერები, ლექსები, ქართული ფოლკლორის საგანძურიდან.

მართლმადიდებლობა

რომელი ცოდვა არ ეპატიება ადამიანს სიკვდილის შემდეგაც

ეკლესია ქრისტეს მისტიკური სხეულია, მორწმუნე ხალხის ერთობა. ადამიანი სწორედ ტაძარში სწავლობს გადარჩენის გზას, მას ეძლევა სწორი ორიენტირი, თუ როგორ მოიქცეს ცხოვრებაში. ამას კი ეკლესია სახარების საშუალებით ასწავლის. ამიტომაც , ეკლესიაში მთავარი მაცხოვნებელი დოქტრინა წმინდა წერილია, რა თქმა უნდა მაცხოვრის, მოციქულთა და მამათა ცხოვრება, დოგმატური კანონები და ასე შემდეგ. ამის გარეშე გადარჩენა და ცხონება შეუძლებელია. ადამიანმა შეიძლება ის წესები, რასაც ეკლესია ქადაგებს, ეკლესიის გარეთაც დაიცვას, აღასრულოს, მაგრამ მაშინ, ბუნებრივია ბევრს გაუჩნდება კითხვა – რა საჭიროა ეკლესია, ცხონება გარეთაც შესაძლებელია: ვილოცებ, მარხვას დავიცავ, აღვასრულებ იმ ზნეობრივ და მორალურ მოთხოვნილებებს ,რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს ცხოვრების განმავლობაშიო. ყველაფერი, რაც ეკლესიის წიაღში აღესრულება, თუნდაც საიდუმლოებები, რომლის მეშვეობითაც ადამიანზე მადლი გადმოდის, თავად ის წესებიც, რაც ეკლესიაშია დადგენილი, -ეს ყველაფერი ერთად აღებული, არ არის ადამიანის ცხონების გარანტია. ეს მხოლოდ გარეგნული საშუალებებია, რომელიც ცხონების გზაზე შემდგარ ადამიანს ეხმარება, ასწავლის, აძლევს სწორ ორიენტირს. მარხვა, ლოცვა, კეთილი საქმეები, ყველაფერი მხოლოდ საშუალებაა, რომელიც ადამიანს აცხონებს, თუკი აღასრულებს თავმდაბლობით, სიყვარულით, იმ შემუსვრილი მდგომარეობის განცდით, რაც ყველა ქრისტიანს უნდა გააჩნდეს.

ეკლესიაში ვსწავლობთ ერთ მთავარ ჭეშმარიტებას, რის გარეშეც ადამიანის ქრისტიანული, ეკლესიური, რელიგიური, მორალური, ზნეობრივი ცხოვრება გამორიცხული იქნება. ეს არის ცოდვებთან სწორი მიდგომა. ეკლესია ხომალდია, რომლეშიც ჩაჯდები და ამ ბობოქარ ცხოვრებაში, რომელიც ჩვენს გარშემოა, მარჯვნივ ან მარცხნივ გაიკვლევ გზას. ეკლესიაში ადამიანი უპირველეს ყოვლისა იმიტომ უნდა დადიოდეს, რომ კარგად გაიგოს და გაარჩიოს ცოდვის არსი. დღეს ბევრი ცოდვა მოგვეწოდება არა ცოდვის, არამედ სიკეთის სახით. არადა, თუ კარგად ჩავეძიებით, გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ეს სიკეთე კი არა, ცოდვაა და მისი გარჩევა უნდა შეგვეძლოს. მაცხოვარი ამბობს: ადამიანმა რაც უნდა დააშავოს ძის, იესო ქრისტეს მიმართ, მას ყველაფერი ეპატიება, მაგრამ თუ ის სულიწმინდის მიმართ შესცოდავს, ეს არც ამ ცხოვრებაში ეპატიება და არც იმ ცხოვრებაში. იოანე ოქროპირი განმარტავს: ადამიანს არ მიეტევება ის ცოდვა, რომელიც ყველაზე საშინელია დედამიწაზე, რასაც ის საკუთარი თავისუფალი ნებით აკეთებს. როცა ფიქრობს, ფიქრობს და იცის, ეს ცუდია, მაგრამ მაინც აშავებს. შეგნებულად ირჩევს ცოდვიან გზას, სწორედ ეს არის სულიწმინდის გმობა. ადამიანებში არის ორი სახის ბრძოლა: ლტოლვა სიკეთისა და ბოროტებისაკენ და როცა შეგნებულად აშავებს, ცოდვას ირჩევს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სწორედ ეს არის სულიწმინდის გმობა. არსებობს ადამიანების სულიერებაში ასეთი მდგომარეობაც: როდესაც ადამიანი ჩადის ცოდვას, მაგრამ არა საკუთარი თავისუფალი ნებით, არამედ ის ცოდვას ჰყავს დამონებული. ამ დროს მისი საკუთარი ნება მთლიანად უგულებელყოფილია. ავიღოთ თუნდაც შური. – ვიცი, რომ შური ძალიან ცუდია, ყველანაირად ვებრძვი, მას, მაგრამ როგორც კი გავიგებ, რომ მეზობელი, ახლობელი დაწინაურდა ან რაღაც შეიძინა, ამქვეყნიურ სიკეთეში წარემატა, რა ვქნა, ვერაფერს ვუხერხებ საკუთარ თავს და მისი მშურს, მაგრამ ვაღიარებ და ვიცი, რომ ეს ცუდია, უბრალოდ აქ უკვე უძლური, ცოდვის მონა ვარ. უფალს ვთხოვ: ღმერთო, შემაძლებინე, რომ აღარ ვიყო ამ ცოდვის მონა, შურიანი. ეს მდგომარეობა ნაკლებად ცოდვილი მდგომარეობაა, ვიდრე ის, რომ მე მაქვს იმის შინაგანი პოტენციალი, არავისი მშურდეს, მაგრამ ამას მაინც ვაკეთებ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ჩავდივარ ცოდვას შეგნებულად და სწორედ ეს არის სულიწმინდის გმობა, რომელიც ადამიანს არ მიეტევება, რადგან ის ამას საკუთარი შინაგანი მდგომარეობით, თავისუფალი არჩევანით ირჩევს. თუ ის მთელი თავისი ხორციელი , შეგნებული ცხოვრებით ამ პოზიციაზე იდგება, იმქვეყნადაც სწორედ ამას აირჩევს. როდესაც ადამიანი საკუთარი ნებით იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, შემდეგში ის აუცილებლად დაემონება ცოდვას და მისი თავისუფალი ნება მთლიანად ჩაეფლობა ამ მდგომარეობაში. ეკლესია კი სწორედ ამ ყველაფერს გვასწავლის და გვეხმარება , რომ ამ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ.

მღვდელი საბა (ბიკაშვილი)

ჟურნალი "თბილისელები"

ვუპატრონოთ, მოვუაროთ!

გარეჯელ სპორტსმენთა ძალისხმევით



გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ეზოში მდგარი XVIII საუკუნის ორი გოდოლი დიდი ხანია მშევლელს ელის. თუმცა, ხელისშემშველების მსურველი ამ ბოლო დროს ბევრი გამოჩნდა, მაინც "ყინული" ჯერ-ჯერობით არ დაძრულა. სამაგიეროდ, საგარეჯოს სპორტგაერთიანების სპორტდარბაზის (უფროსი მწვრთნელი კობა საგინაშვილი) მოსწავლეები აპრილის პირველივე დღეებიდანვე ეკლესიის ეზოში ნგრევის პირას მისული შენობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, შენობაში გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან და ეკალ-ბარდებისგან ადგილის გათავისუფლებას შეუდგნენ. ამ საქმის მოთავე და ინიციატორი, რომელსაც მხარში ამოუდგნენ პატარა სპორტსმენები და მათი მწვრთნელები, ვინაობის გამჟღავნებას არ აპირებს გაზეთის ფურცლებზე – ეს თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ვუპატრონოთ ყველაფერს ქართულს და ქრისტიანულსო, ასე გამოაცხადა და საუბარს ზრდილობიანად აარიდა თავი.

შენობა კი, რომლის სახურავის ჩამოქცევა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მოხდა, ჯერ სამრევლო, დაწყებითი კლასების სკოლის სტატუსით იყო, შემდეგ კი შიგ საგარეჯოს მატყლის ფაბრიკის ფილიალი იყო, რომელიც ელექტროენერგიის არასწორად მოხმარების გამო ხანძარმა შთანთქა. მას შემდეგ შიგ მაყვალი და ჭინჭარი, ქვეწარმავალი მომრავლდა. ამ ადგილზე კი შემოწირულობების საშუალებით ამ საქმის მოთავე და ინიციატორი ეკლესიის მოძღვრისათვის კელიის აშენებას აპირებს.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ კეთილ საქმეში!



"ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია"

ბივი მჭედლიშვილი



3 მაისი შენი დაბადების დღეა. შევიკრიბებით შენი დიდი ოჯახი შენს საფლავთან. დავანთებთ სანთელს, მოგილოცავთ და შენი სულის შესანდობარს ვიტყვით. უშენობა დიდი ტკივილია ჩვენო კარგო ადამიანო! შენს გარეშე გვიჭირს შენი მამულის ყურება. გაზაფხულია, შენ ვერ ეფერები შენს რუდუნებით მოვლილ ვაზს. ვცდილობთ ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც გვასწავლე, როგორც შენ გაგეხარდებოდა.

შენ დღეს სხვანაირი ენთუზიაზმით, სხვანაირი შემართებით იშრომებდი შენს მამულში, სხვანაირი გეგმები გქონდა ბოლო დროს, ისეთი, რომელიც შენს ოჯახს, მეზობლებს, თანასოფლელებს სიკეთეს მოუტანდა.

5 მაისს აღდგომაა. მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი იყოს ყველა ქრისტიანის საყოველთაო აღდგომის საწინდარი. ამინ!

ოჯახი

ჭადრაკი

კვლავ გვასახელეს

13-14 აპრილს ქ. სიღნაღში გაიმართა კახეთის მხარის პირველობა ჭადრაკში 8 და 7 წლამდე გოგონათა და ვაჟთა შორის.

პირველობაში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს სპორტსკოლის აღსაზრდელებმა და მათი შედეგებიც ასეთია :

8 წლამდე ასაკში:

I ადგილი – ლევან დალბაშვილი (საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლე)

II ადგილი – თამაზ გილაშვილი (საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლე)

7 წლამდე ასაკში

I ადგილი – ლუკა ტიგინაშვილი (საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლე)

II ადგილი – გიგი ივანელაშვილი (საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლე)

გოგონებში 8 წლამდე ასაკში:

II ადგილი – ეკა ჭყონია (საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლე)

დასასრული

დასასახლებლად. ჩვენ მარიამჯვრელებს და ანთოკელებს კი ლამის სული ამოგვხდეს უმამულობით. ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა რომ შეიტყოთ, სწორედ შეგეცოდებით...”

მართლაც, რომ შესაცოდნი იყვნენ ამ ორი პატარა სოფლის მშრომელები, მათსავე ბედს იზიარებდნენ მეზობელი გიორგიწმინდელებიც, მაგრამ შემცოდებლები არ იყვნენ არც ბიუროკრატიული ხელისუფლება, არც თავადები და ღმერთიც კი, ამიტომ უსამართლობით ილაჯგაწყვეტილმა გლეხებმა იარაღი აიღეს ხელში და უსამართლობას იარაღით შეებრძოლნენ 1905-1907 წლების რევოლუციის წლებში და ანთოკ-მარიამჯვრის ტყე “საბადური” ცარიზმის უსამართლო ხელისუფლებით უკმაყოფილო, რევოლუციურად განწყობილი გლეხების თავშესაფრად იქცა.

ანთოკ-მარიამჯვრელების ბრძოლას მიწისათვის სათავეში ჩაუდგა მარიამჯვრელი მებრძოლი გლეხი გოგლია (გიორგი) თარიმანიშვილი. რომელმაც ბრძოლის რევოლუციური წრთობა თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის ვაგონ-შემკეთებელ საწარმოში მიიღო იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით.

გოგლია თარიმანიშვილს გვერდში ამოუდგნენ თავისი თანასოფლელები ვანო მამუკელაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი, შაქრო გოცირიძე, გიორგიწმინდელი გლეხები ვანო ბურჯანაძე, დავით ჭიაბერაშვილი, “პატარა ნიკა” –კასრაძე და სხვები, მაგრამ ბრძოლის რევოლუციურმა გზამ ცარიზმის მხრიდან მიწა კი ვერ დაუბრუნა, სამაგიეროდ მათი ხვედრი მეფის ციხე და კატორღა გადაიქცა.

ზოგი რამ ჩვენი სოფლების ისტორიიდან

მიწისათვის თავდადებულნი

მარცხნიდან მარჯვნივ: ივანე ბურჯანაძე, დავით ჭიაბერაშვილი და გიორგი თარიმანიშვილი

ანთოკ-მარიამჯვრელმა და გიორგიწმინდელმა მოწინავე გლეხებმა ახლა მიწისთვის ბრძოლის მშვიდობიან გზას მიმართეს. რევოლუციით დამფრთხალმა თავადებმაც გადაწყვიტეს კომპრომისული შეთანხმების გზით დაეთმოთ მიწა. ამ მოლაპარაკებას სათავეში ჩაუდგნენ ისევ მიწისათვის მებრძოლი მოწინავე გლეხები: გოგლია თარიმანიშვილი, ვანო ბურჯანაძე და დავით ჭიაბერაშვილი, რომლებიც აქ ფოტოსურათზე არიან აღბეჭდილები.

თავად ტიტიკო მაყაშვილთან, რომელიც კახეთში, სოფელ იყალთოში ცხოვრობდა უცოლშვილოდ გადაბერებული, მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ მარიამჯვრელები და გიორგიწმინდელი გლეხები: გოგლია თარიმანიშვილი, დათიკო ჭიაბერაშვილი და ვანო ბურჯანაძე და მშვიდობიანად მორიგდნენ მინდორ “ნასადგომარის” გაყოდვაზე, დესეტინაზე 50 რუსულ რუბლად, ნაღდ ფულად ბანკის საშუალებით.

მემამულე ტიტიკო მაყაშვილმა ნოტარიუსით დამოწმებული ბე შეატანინა გიორგიწმინდელ და ანთოკ-მარიამჯვრელ გლეხებს ბანკში არა ნაღდი ფულით, არამედ ფასიანი ქაღალდებით, ობლიგაციებით, რაც სოფლის რწმუნებულებმა ბურჟუა ებრაელისაგან შეიძინეს 5000 მანეთად, დანარჩენი თანხა კი ნაწილ-ნაწილ შეჰქონდათ და ბოლოს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაუფასურებული ბონის ფულით გამოისყიდეს მამული.

დიდი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდათ გიორგიწმინდელ და ანთოკ-მარიამჯვრელ გლეხებს, რათა გამოსყიდული მამული “ნასადგომარი” და ზემოთ ჩამოთვლილი ტყეები ხელში არ ჩავარდნოდათ ფულიან და ანგარებიან, გაიძვერა ადამიანებს. გლეხების ინტერესები ღირსეულად დაიცვა გიორგიწმინდელმა გლეხმა, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავკაცმა ვასო კანჯარაშვილმა და გიორგიწმინდელმა ინტელექტუალმა, სახალხო განათლების თავკაცმა და სახალხო მასწავლებელმა იერემია გულისაშვილმა. “ნასადგომარი” თანაბრად გაანაწილეს გიორგიწმინდელ და ანთოკ-მარიამჯვრელ გლეხებზე.

1917 წელს აქაურმა გლეხებმა კომლზე თითო დესეტინა მიწა მიიღეს. (ერთი დესეტინა უდრიდა ერთ ჰექტარსა და 39 კვადრატულ მიწას)

“ნასადგომარი” და “კუნლიანი” საუკუნეებით დასვენებული მიწა სიმინდის ბუდედ იქცა გიორგიწმინდელ და ანთოკ-მარიამჯვრელი გლეხებისთვის, მაგრამ გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის ეს ნაყოფიერი მიწები საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხებს ჩამოართვა და კოლმეურნეობების საკუთრებად აქცია. წარსულს ჩაბარდა გიორგიწმინდელი და ანთოკ-მარიამჯვრელი გლეხების დიდი ბრძოლით მოპოვებული მიწა, სადაც ახლა ქვემო სამგორის სარწყავი ქსელის მშენებელთა დაბა და სხვადასხვა ნაგებობათა სადგომებია გაშენებული, ხოლო ამ მიწების მესაკუთრეები სულ სხვები არიან.

ახლა ქართულ მიწებს ეპოტინებიან ინდოელი, პაკისტანელი, ჩინელი, არაბი და კიდევ ვინ იცის რა მოდგმის ხალხი. ამ ფოტოზე აღბეჭდილი მიწისათვის თავგამოდებული ამაგდარი ადამიანების ხსოვნა კი შემორჩა ისტორიის ფურცლებს.

ალექსანდრე ელერდაშვილი

მემატიანე, დამსახურებული ვეტერანი ჟურნალისტი

საფრთხის წინაშე – ვაშკაცურად

აპრილის ხანძრებს მნიშვნელოვანი ზარალი არ მოჰყოლია

18 აპრილის მდგომარეობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის შვიდ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რომლებსაც სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი არ მოჰყოლია, არც კერძო და არც სახალხო მეურნეობისათვის, - ასეთი განცხადება გააკეთეს ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის უფროსმა ზაქარია ოტიაშვილმა და მთავარმა სპეციალისტმა ფრიდონ ბეჟიაშვილმა.

ამ თვის პირველი ხანძარი 6 აპრილს სოფელ ბადიაურში მცხოვრებ გ.ჩ-ს საცხოვრებელი ბინის მეორე სართულზე დაფიქსირდა, სადაც საკვამლე მილის გაუმართაობის გამო, ცეცხლი შენობის სახურავს ჰქონდა გაჩენილი. დროულად მიღებული შეტყობინების შედეგად, სამსახურის ორი სახანძრო მანქანა დაუყოვნებლად გავიდა შემთხვევის ადგილზე და ბინის პატრონს ქონება მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე გადაურჩინეს დაწვას.

მომდევნო ხანძრის შემთხვევა 9 აპრილს, სოფელ ვერხვიანში დაფიქსირდა, სადაც მაღალი ძაბვის მართულის გაწვეტის გამო ცეცხლი მის ხის საყრდენს ჰქონდა გაჩენილი და ჩვენმა მეხანძრეებმა ადვილად შეძლეს ამ ხანძრის ჩაქრობაც.

იმავე დღეს მეხანძრეებს ხაშმში ი.მ. “ფიცხელაურის” კუთვნილი ხის საშრობში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაც მოუწიათ. აქ ხის მზა მასალის ოთხი განყოფილებიდან, ერთ-ერთში გაჩენილი იყო ხანძარი, რის ჩასაქრობადაც მეხანძრეებს სამი სახანძრო მანქანით მოუხდათ გასვლა.

– შემთხვევის ადგილზე რომ მივედით, ხანძარი უკვე მოდებული ჰქონდა აღნიშნულ განყოფილებაში მოთავსებულ დაახლოებით 35 მ3 გამომშრალი ხის მასალას, – გვიყვება ფრიდონ ბეჟიაშვილი. – ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, სამი სახანძრო მანქანითაც ვერ შევძლებდით მის ჩაქრობას, რომ არა იქვე ჩამომდინარე რუს წყალი, საიდანაც შეუფერხებლად ვიღებდით წყალს. საქმეს ართულებდა ისიც, რომ იმ დღეს ქარიანი ამინდი იყო, ამიტომ მთელი ოთხსაათნახევარი მოუწიათ ჩვენს 10 მეხანძრეს ამ ხანძრის ჩაქრობაზე მუსაობამ და საბოლოოდ მაინც შეძლეს მისი ლიკვიდაცია. ამ ხნის მანძილზე წყალსაქაჩებით თითქმის 30 ტონა წყლის დასხმა მოგვიხდა. მართალია ვერ მოხერხდა საშრობის იმ განყოფილებაში არსებული მასალის გადარჩენა, მაგრამ სამაგიეროდ გადარჩა სამ დანარჩენ საშრობში არსებული ხის მასალა. ამ ხანძრის ქრობაში თავი ისახელეს აბო ილაურის ეკიპაჟის წევრებმა. აღნიშნულ ხანძარზე პირველი “ნათლობა” მიიღო ახალმა მეხანძრემ ხვიჩა გუგუტიშვილმა, რომელიც ტოლს არ უდებდა გამოცდილ მეხანძრეებს მუშაობაში.

ხაშმის შემდეგ მეხანძრეებს “აკაკიან ხევზე” გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა მოუწიათ, სადაც დაიწვა 8 ჰექტრამდე ხაძოვარი. მომდევნო დღეებში მათ ხანძრის ჩაქრობა საგარეჯოს ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ ქარსაფარში და მუხროვანის სამხედრო ნაწილის მიმდებარე სავარგულებში მოუწიათ.

ბოლო, მეშვიდე ხანძრის შემთხვევა 13 აპრილს მანავში , სულიკო მახარობლიშვილის საბაზანოში ჰქონდა ადგილი, რომელიც მანამადე ჩააქრეს მანაველებმა, ვიდრე ორი სახანძრო მანქანა იქამდე ჩააღწევდა.

გივი დაგახიშვილი

მილოცვა

პატარა **მარიამის** დაბადებას ვულოცავთ **უშანგი კუზანაშვილსა** და მის მეუღლეს **ვერიკო ჭიკაძეს**. სიყვარულის დღეს 15 აპრილს ამქვეყნად მოვლენილმა გოგონამ სიკეთე და სიხარული, დიდი ბედნიერება მოგიტანოთ. გაიზარდოს, გაიხაროს უფროს ძმა მალხაზისთან ერთად და მათი კარგი ადამიანობით ისევე გვამაყოთ, როგორც თქვენ ეამაყებით თქვენს მშობლიურ კაკაბეთს, საგარეჯოსა და სრულიად საქართველოს.

საგარეჯოს სპორტგაერთიანების თანამშრომლები

დაბადების დღეს ვულოცავთ პატარა ქართველს – **უჩა ცხოვრებაძეს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, უფლისგან მფარველობას, სიკეთეს და სიხარულს. გაიზარდე სასახელო ქართველი, ჩვენი გულების გასახარებლად და საამაყოდ.

გიძაშვილები ნინიკო და ლიზიკო,

დეიდა ლია გრძელიშვილები

ახალი ხიბგნები

დღესაც უშენობა...

საგარეჯოელმა პოეზიის მოყვარულებმა ამ დღეებში მიიღეს ეკა ქურხულის ლექსთა კრებულის მეორე წიგნი “დღესაც უშენობა ...”

წიგნის წინასიტყვაობაში ცნობილი პოეტები ხატია ავსაჯანიშვილი, ერეკლე საღლიანი, ბადათერ არაბული, მწერალი ქალბატონი ციალა არდაშელია, ფილოლოგი ლია მეტრეველი, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) გულთბილად მოიხსენიებენ საგარეჯოელი ნიჭიერი პოეტის ეკა ქურხულის ლირიკული ლექსების ხიბლს.

ხოლო პოეტი ნანა ცინცაძე საკვირველ ლექს – აკროსტიხს უძღვნის აღნიშნული ლექსთა კრებულ “დღესაც უშენობის...” ავტორს. ასე შედის მკითხველი პოეტის მშვენიერ სამყაროში, სადაც სურნელოვანი და უჭკნობელი ყვავილები ჰყვავიან და რომელსაც პოეზიის საუფლო ჰქვია.

აი, რას წერს და როგორ აფასებს ეკა ქურხულის ლექსთა კრებულს ცნობილი ქართველი პოეტი ბადათურ არაბული:

– ეკას ლექსები გამოირჩევა უშუალობითა და უბრალოებით, ის თავის სათქმელს ყოველგვარი ვერსიფიკაციული ძიებების და ზედმეტი ბუნდოვანებისგან ათავისუფლებს მკითხველს, გვესაუბრება მარტივად, გასაგებად და მისი ფიქრების თანამონაწილედ, თანამგზავრად გვაზიარებს, რაც პოეზიის მთავარი დანიშნულებაა.

მინდა მკითხველის გულებისაკენ მიმავალი გზა დავულოცო ეკა ქურხულის ახალ წიგნს და ვუსურვო, რომ ეს გზა სიყვარულით სავსე ყოფილიყოს ...

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა “საუნჯეს” სტამბაში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტ თადეოზის (მირიან იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით.

ალექსანდრე ელერდაშვილი

ბიბლიოფილი.

რეკლამა

GOLD SERVISE

ინდ.მეწარმე “ნონა რევაზიშვილი”

საბუღალტრო მომსახურება, შემოსავლების სამსახურში ელექტრონული რეგისტრაცია,
ელექტრონული ფოსტის გახსნა(E-MAIL), ქსეროქსი, ტექსტის აკრეფა,ტექსტის ამობეჭდა,PDF ფაილის გადაყვანა word და excel-ში, დოკუმენტების დასკანირება და გადაგზავნა დაინტერესებულების ადგილას, საბუთებისთვის ფოტოს გადაღება–დისკზე ჩაწერა, ნივთების გამოწერა საზღვარგარეთიდან, საპროექტო ნახაზების გაკეთება, WINDOW-ის ჩაწერა, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა.

სამუშაო საათები: 10 – 17 სთ

ტელ: 555 79 88 23

595 65 65 04

E-mail: goldservise55@gmail.com

მისამართი:

ქ.საგარეჯო დ.აღმაშენებლის ქ.№15

ადმინისტრაციული შენობის II სართული

სპორტი



თამაზ კირაკოზაშვილი

1. ევროპის ჩემპიონატის საგზური

თამაზ კირაკოზაშვილი ღირსეულად იმ სპორტულ ტრადიციებს აგრძელებს, რომელსაც მათ გვარში ჯერ მამა, შემდეგ მამის ძმა აგრძელებდა. მამა – გია (გიორგი) ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონია, ბიძა – რამაზი ევროპის სამგზის თასის მფლობელი, მონაწილე და გამარჯვებული ოლიმპიურ თამაშებზე ... თავად თამაზი კი ექვსგზის საქართველოს ჩემპიონია. ახლახანს მან კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა – კიევში გამართულ ევროპის თასზე, თამაზმა პირველი ადგილი დაიკავა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კიევში, ამავე ასპარეზობაში მონაწილე თამაზის თანაგუნდელმა კობა მჭედლიშვილმა მეორე ადგილი დაიკავა. კობას ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს თავისი სპორტული წარმატებებით. კობა ევროპის ჩემპიონი, ანტალიის და კიევის საერთაშორისო ტურნირების ვერცხლის პრიზიორია. ეს გასულ წელს. როგორც ჩანს, კობას კიევში ასპარეზობა ვერცხლის მედლის მოპოვებით აქვს დაცდილი, რადგან სამჯერ იყო სხვადასხვა დროს კიევის ევროპის თასზე და სამჯერვე მეორე ადგილი აიღო. კობას პაპის პაპა – სანდრო მჭედლიშვილიც ჭიდაობის დიდი მოტრფიალე და კარგი მოჭიდავე ყოფილა. კობას მამა – ჯამბული კი საქართველოს ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში. ჯამბულმა ჭიდაობის ტრადიციების გაგრძელება შვილს გადაულოცა და კობაც რვა წლიდან სპორტულ დარბაზშია.

თამაზისთან და კობასთან ერთად კიევში ევროპის თასზე სიმონ მამარდაშვილიც მონაწილეობდა. სიმონი მესამე ადგილს დასჯერდა ამ ასპარეზობაში. სიმონიც თავისი პაპის, მამის და ბიძის წარმატებულ ტრადიციებს აგრძელებს ძიუდოში, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი.

ორმაგი სიხარული -

მათ მოიპოვეს:

კობა მჭედლიშვილი

სიმონ მამარდაშვილი

იალჩინ ალაზოვი

საინტერესო იყო კიევში ევროპის თასზე პირველობისათვის ბრძოლა ხალიჩაზე. ნახევარფინალში ერთმანეთს კობა მჭედლიშვილი და სიმონ მამარდაშვილი შეხვდნენ. შეხვედრა კობას გამარჯვებით დამთავრდა და ახლა, როცა იხსენებენ ამ შეხვედრას, ორივეს ეცინება, რადაცნაირი დარცხვენითაც ჰყვებიან ნიუანსებს, მართლაც, ხომ შეიძლება ქართველი ქართველისთვის, თანაგუნდელი –თანაგუნდელისთვის არ შეეხვედრებინა ბედს და ეს გამარჯვება თანაგუნდელის დამარცხებაზე კი არ ეზეიმა კობას, არამედ სულ სხვაზე, ვისთანაც თანაგრძნობის განცდა ნაკლები ექნებოდა.

სამივე მწვრთნელების მამუკა მათიაშვილისა და ნუკრი გაგნიაშვილის მეთვალყურეობის ქვეშ არიან. სამივე მოსწავლეები არიან, მაგრამ ახერხებენ და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სპორტულ დარბაზში იმ რეჟიმის დაცვას, რასაც მწვრთნელები მოითხოვენ მათგან.

2. და 100 ლარიანი ხელფასი

დიახ, კიევიდან დაბრუნებულ თამაზის, კობას და სიმონს გარდა მათი გამარჯვებით გახარებული ოჯახის წევრების, თანაგუნდელების, საგარეჯოს სპორტული საზოგადოებისა, მართლაც რომ დიდი სიხარულ-სიურპრიზი დახვდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამივე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. მოსწავლეს კი არც სტიპენდია ეძლევა და არც ხელფასი. მათ კი 100-100 ლარი ყოველთვიური ხელფასი მიეცემათ მანამდე, სანამ გამარჯვებულის კვარცხლბეკს შეინარჩუნებენ! ასეთი გახარებული და რწმენაში განმტკიცებულნი ალბათ არ ახსოვთ მათი ოჯახის წევრებს – თავიანთი მიღწევებით ჯერ გულშემატკივარი გაახარეს და სამაგიეროდ, მათთვის სრულიად უცხო პიროვნებისგან ხელფასიც დაენიშნათ. დიახ, ეს მათი შრომით, მათი თავდაუზოგავი ვარჯიშით, პრინციპული, მიზანმიმართული ბრძოლით დაიმსახურეს, მაგრამ გაოცება და მადლიერების დიდი გრძნობა მაშინ მოზღვავდა მათში, როცა გაიგეს, რომ ეს პიროვნება ***იორმუდანლოელი*** იალჩინ ალაზოვი აღმოჩნდა. კაცი, რომელსაც უყვარს სპორტი, ჭიდაობა და დიდი სურვილი აქვს წაახალისოს თავისი რაიონის ახალგაზრდა სპორტსმენები, ხელი შეუწყოს მათ შემდგომ წარმატებებს. იალჩინი იორმუდანლოში დაიბადა და გაიზარდა. მისი მშობლები პედაგოგები არიან. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, მესამესაც მალე ელოდება. შრომისმოყვარე ახალგაზრდამ სელ მცირედით დაიწყო ბიზნესი და შემდეგში ისე განავითარა, რომ დღეს თავად შეუძლია გაჭირვებულისთვის ხელის შეშველება, წაქცეულის წამოყენება და სპორტსმენის იმ გამარჯვების დაფასება, რომელიც საქართველოს ასახელებს. იალჩინმა საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექციას მიაკითხა და სურვილი გამოთქვა, კიევში გამარჯვებული სამივე სპორტსმენისათვის ხელფასის სახით 100-100 ლარი დაენიშნა !

როცა იალჩინმა პირველი ხელფასი სამივეს გადასცა, მართლა გამაკვირვა და რაღაცნაირი გრძნობაც გამიჩინა – როგორი სურვილი გასჩენია ეროვნებით აზერბაიჯანელ კაცს ქართველი სპორტსმენის წასახალისებლად, მასში ბრძოლის გაათკეცების სურვილის აღსაძვრელად უნებურად გამახსენდა არსენ მეკოკიშვილისა და შალვა გზირიშვილის დამწყები ნაბიჯები სპორტში, როცა თბილისელი მუშები ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ მათ ვარჯიშსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. გამახსენდა მწვრთნელისა და მსაჯის ვახტანგ ბალავაძის მამაშვილური დამოკიდებულება ერთი გარეჯელი, გაღმაუბნელი ბიჭისა – ლევან თედიაშვილისადმი, რომელმაც მესამე შვილად მიიღო ლევანი თბილისში და არ მოაკლო ხელი როგორც მწვრთნელმა, აღმზრდელმა და გულშემატკივარმა. იქნებ იმიტომაც გაუმართლა სამივეს ისე, მსოფლიოს არენაზე რომ გაიტანეს საქართველოს სახელი და დღესაც ვერ ივიწყებს ლევანი ვახტანგ ბალავაძის სახელს და თავის ყველა გამარჯვებას საქვეყნოდ მის კაცურკაცობას მიაწერდა?! იქნებ იმ დანამუსებითაც გადიოდა თითოეულ ორთაბრძოლაში, რომ მისი აღმზრდელი და მასზე მამასავით მზრუნველი არ შეერცხვინა. აქ ჩვეულებრივ, ქართული ხასიათის ერთ-ერთი თვისების გამოვლინებასთან გვაქვს საქმე – კარგისთვის ხელისჩავლება, გვერდში დადგომა და სტიმულის მიცემა ... მაგრამ დღეს ჩვენ სად გაგვიქრა ეს გრძნობა?! დღეისთვის საგარეჯოელ სპორტსმენებიდან მხოლოდ ხუთ მოჭიდავეს აქვს ხელფასი. მოჭიდავემ, კახეთის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარემ მამუკა კურდღელაშვილმა ვანო მამისაშვილსა და სოლომონ თედიაშვილს დაუნიშნა 100-100 ლარი. მათ ახლა კობა, თამაზი და სიმონიც მიემატნენ – იალჩინ ალაზოვის "სტიპენდიანტები".

იალჩინს ძალიან უყვარს საქართველო. იგი ბაქოშიც იყო ერთხანს, მაგრამ მოკლე დროით. არ შემიძლია საგარეჯოს, ჩემი იორმუდანლოს გარეშე ცხოვრებაო, სადაც არ უნდა წავიდე ჩემი მშობლიური კუთხე, ჩემი სოფელი მეძახის უკან და ამიტომ ვერსად ვიცხოვრებო, - მითხრა საუბარში, - ძალიან მინდა ჩვენი რაიონის სპორტსმენებმა მეტ წარმატებებს მიაღწიონ, ამისთვის მათ ხელშეწყობა, წახალისება სჭირდებათ და მეც ასეთი გზით ვარჩიე ჩვენი სპორტსმენებისათვის გვერდში დგომაო.

როდის დავკარგეთ, ნეტავ, ჩვენ ეს გრძნობა, სიკეთის კეთების სურვილი, თანაქალაქელის, თანამოქალაქის გვერდში დგომის სურვილი?

თინა ილაური

პირველი მერცხლები

ნუნუკა ლონდარიძე

ქალთა ჭიდაობა ერთხანს მიუღებელი იყო საქართველოსთვის და უამრავი ადამიანისთვის ახლაც მიუღებლად რჩება. საგარეჯოს სპორტგაერთიანების სპორტულ დარბაზში (უფროსი მწვრთნელი კობა საგინაშვილი) კი ხუთი თვეა გოგონები თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიშობენ. მათი მწვრთნელები ბიჭიკო მარიდაშვილი და კობა საგინაშვილია. გოგონები ნუნუკა ლონდარიძე და ხატია კევლიშვილი უკვე სერიოზულ შეჯიბრებებში იღებენ მონაწილეობას. ორჯერ მათ უკვე ჰქონდათ საგარეჯოში ძალების გამოცდის საშუალება. ორჯერვე მეორე ადგილს დასჯერდნენ. 28 მარტს თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე ნუნუკა ლონდარიძემ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ხატია მესამე ადგილს დასჯერდა.

ნუნუკას დიდი მიზნები აქვს – გაიცნოს თავისუფალი ჭიდაობის გამარჯვებული ქალების ჭიდაობის ამსახველი ვიდეო ფირები, რათა უფრო დახვეწოს თავისი ტექნიკა, მოუსმინოს მწვრთნელებს, გაიზიაროს მათი მოსაზრებები, შენიშვნები და შემდეგში დახვეწილი ფორმით შეიტანოს ყოველდღიურ ვარჯიშებში.

ჭადრაკი

მოჭადრაკე და ფეხბურთელობაზე მეოცნებე

ლევან დალბაშვილი სულ შვიდი წლისაა, მაგრამ გარდა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეორეკლასელობისა, ჭადრაკში იმდენი წარმატებები აქვს, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებიც კი იცნობენ. ჭადრაკის თამაში ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა საბავშვო ბაღის აღსაზრდელი იყო – 5 წლისამ. მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი სიხარულით იღებდა ამ პატარა ბიჭს, რომელსაც აინტერესებდა, მოსწონდა და ბოლოს კიდეც შეიყვარა ჭადრაკი. ლევანი გაიზარდა, სკოლაში დაიწყო სიარული და პარალელურად ჭადრაკის საიდუმლოებებს ელენე მასწავლებლის დახმარებით ეცნობოდა. მან არაერთხელ გააკვირვა მოჭადრაკეები თბილისში, ქუთაისში, თელავში, საგარეჯოში. მართლაც, რომ გასაოცარია, ბიჭს, რომელსაც ფეხბურთიც აინტერესებს და საკმაოდ წარმატებულად თამაშობს უბნელებთან, სხვა დროს ვერ გააჩერებ ერთ ადგილას, შეუძლია 2 საათი, ორსაათნახევარი გაძლოს სკამზე ჩაფიქრებულმა, მოაზროვნემ და ისეთი სვლა გააკეთოს, მოწინააღმდეგეს დამსახურებულად აართვას ქულები.



ახლახანს ლევანი თბილისის ჭადრაკის სასახლეში იყო საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. ჩატარდა 9 ტურად, 7 ქულით სამმა მონაწილემ პირველობა გაიყო და პროგრესით განლაგდნენ – მეორე ადგილი ლევან დალბაშვილმა დაიკავა.

ლევანს სხვანაირი სიხარულით უხარია ყოველი გამარჯვება – იცის, რომ გარდა ოჯახის წევრებისა, მისი გამარჯვებები უხარიათ მის მასწავლებელს ლია ქარსაულიძეს და თანაკლასელებს.

კვლავ წარმატებებს ველოდებით შენგან, ჩვენო ლევან !

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com